დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:
ბექა ადუაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
ზურაბ მესხიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა.

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 243572184

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 7 ივლისის N888658 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები - ბექა ადუაშვილი, ზურაბ მესხიძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელების ნაწილში ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა), ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში 2026 წლის 24 ივლისს (მის.: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სოფ. ვერტყვიჭალა). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განხორციელება არ ქმნის ხელშემშლელ გარემოს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სწავლებისთვის. პროფესიული და ზოგადი განათლების პროცესები ისეა ორგანიზებული, რომ ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები ეფექტიანად ნაწილდება, რაც უზრუნველყოფს ორივე მიმართულების პარალელურ და შეუფერხებელ განხორციელებას და ქმნის მრავალფეროვან, ეფექტიანად მართვად საგანმანათლებლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულების სრულფასოვანი ასახვა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამშრომელთა ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობების განახლება ისე, რომ მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება **(2026 წლის ოქტომბრამდე).**

- ასევე, უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების თანამშრომლებისთვის ოფიციალურად გაცნობა და შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მათთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2026 წლის ნოემბრამდე**). **აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ხელს შეუწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიან მართვას, პროცესების კოორდინირებულ წარმართვას და პასუხისმგებელ პირთა ფუნქციების გამჭვირვალე განაწილებას.**

ინდიკატორის 4.1.2.1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2027 წლის იანვრამდე)** უზრუნველყოს შინაგანაწესის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული რეგულაციების მკაფიო გამიჯვნა,
- ასევე განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და კორექტირება (სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **2027 წლის მარტამდე),** რათა დაწესებულების შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიმართულებით მოქმედ მართვის პროცესებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას .

ბ. რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორის 2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

შესაბამისობის რეკომენდაცია

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის აუცილებელი, პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბერი.

ინდიკატორის 2.2.1.2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბრამდე უზრუნველყოს დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და ხელშეკრულებების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი, ხარისხიანი და მდგრადი განხორციელება.

ინდიკატორის 2.2.1.3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული პროფესიული განვითარების ღონისძიებების სრულად განხორციელება დადგენილ ვადაში - **2026 წლის ნოემბრამდე**. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება, რათა მათ პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფლობდნენ პროფესიული განათლებისთვის აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას, თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შეფასების შესაბამის მიდგომებს.

ინდიკატორის 2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო რესურსების სრულყოფა და განახლება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 2026 წლის ნოემბრამდე, რათა პროგრამის დაწყების მომენტისთვის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროგრამის ეფექტიანად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ყველა სასწავლო რესურსი.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- პროფესიული განათლების მიმართულებით გამოცდილების ნაკლებობის გამო, კონკრეტული პროგრამის შემუშავების პროცესი სრულად არ განხორციელებულა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, სკოლამ მომავალში უზრუნველყოს პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესის სრულ შესაბამისობაში მოყვანა დამტკიცებულ შიდა რეგულაციებთან, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან და სისტემურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტები (პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებლებისთვის), განსაზღვროს მათი გამოყენების პერიოდულობა, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცედურები, ასევე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მტკიცებულებებსა და უკუკავშირზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, სკოლამ წინასწარ დაარეგულიროს პროგრამის განმახორციელებელთა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების წესი, მათ შორის განსაზღვროს მათი ჩატარების პერიოდულობა, ფორმატი, შეხვედრების შედეგების დოკუმენტირების პროცედურა და მიღებული გადაწყვეტილებების პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის სისტემურ წარმართვას, მიღებული ინფორმაციის ეფექტიან გამოყენებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო შედეგიან ფუნქციონირებას.

ინდიკატორი 2,4,1,2, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე სკოლამ დანერგოს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმი. ასევე მიზანშეწონილია განისაზღვროს უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები, მათი გამოყენების პერიოდულობა და მიღებული შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღების წესი, რათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნებოდეს პროფესიული სტუდენტების გამოცდილებას, საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2,4,1,4, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის პროცესის, მათზე რეაგირების მიზნით განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების სისტემური დოკუმენტირება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, კონსულტაციების ამსახველი ჩანაწერების, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგის შედეგებისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოების გზით. მსგავსი პრაქტიკა ხელს შეუწყობს არსებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და დაადასტურებს პროფესიულ სტუდენტებზე ორიენტირებული მიდგომების რეალურ განხორციელებას.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მისიაა აღზარდოს სრულფასოვანი , თავისუფალი, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები, კრიტიკულად მოაზროვნე, ინტელექტუალური და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პიროვნებები, რათა კურსდამთავრებულებმა შეძლონ მაქსიმალური თვითრეალიზება, როგორც ქვეყნის ინტერესების დაცვა, ასევე გლობალური საკითხების გააზრება და დღევანდელ მრავალფეროვან გარემოში საკუთარი ადგილის დამკვიდრება.სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

წარმოდგენილი მისია სრულად შეესაბამება როგორც ზოგადი განათლების ასევე პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებს. ის ორიენტირებულია მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ განვითარებაზე. ამავე დროს, მისიაში ხაზგასმულია დაწესებულების პასუხისმგებლობა, დღევანდელ მრავალფეროვან გარემოში, დაეხმაროს სტუდენტს თვითრეალიზებაში და საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში.

მისია სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების შემდეგ ეროვნულ მიზნებს: მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა; ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით, პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 1.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;**

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლის მისიის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მის საგანმანათლებლო პროფილსა და როლს განათლების სისტემაში. მისია ასახავს სკოლის მიზანს, უზრუნველყოს ხარისხიანი ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო, ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, პროფესიული უნარების განვითარება და მოქალაქეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მისიაში ხაზგასმულია, რომ სკოლა წარმოადგენს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოსწავლეებსა და პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოება განსაზღვრავს დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილს და გამოყოფს მას იმ სკოლებისგან, რომლებიც მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტში ასევე ასახულია დაწესებულების როლი განათლების სისტემაში, რომელიც გამოიხატება პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კომპეტენციების განვითარებაში, უწყვეტი სწავლების ხელშეწყობასა და ადგილობრივი საზოგადოების საგანმანათლებლო საჭიროებების მხარდაჭერაში. მისია ორიენტირებულია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული და პიროვნული განვითარების, პასუხისმგებლიანი მოქალაქეობის, თანამედროვე ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგებით დადასტურდა, რომ მისია შემუშავებულია პროფესიული განათლების მიმართულების განვითარების გათვალისწინებით და წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული განვითარების საფუძველს. მისიის დებულებები ცნობილია სკოლის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პერსონალისთვის და გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.
ინდიკატორის 1.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის ხედვა ორიენტირებულია ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისა და პროფესიული სტუდენტის სრულფასოვან განვითარებას, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და მხარდაჭერას. ხედვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოზიტიური, უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც სკოლის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაზე.
დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის განსხვავებულ შესაძლებლობებს, ინტერესებსა და განვითარების ტემპს, რის გამოც სწავლების პროცესში პრიორიტეტს ანიჭებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა ქმნის პირობებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ და პროფესიულმა სტუდენტმა დაინახოს საკუთარი პროგრესი, სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი და განივითაროს როგორც პროფესიული, ისე პიროვნული კომპეტენციები.
ხედვა ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახთან პარტნიორულ თანამშრომლობას და მიიჩნევს მას ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად. სკოლის მიზანია ოჯახისა და სკოლის ერთობლივი ძალისხმევით აღზარდოს პასუხისმგებლიანი, აქტიური, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოქალაქე, რომელიც შეძლებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებულ ინტეგრაციას.
ამასთანავე, ხედვა მოიცავს პროფესიული განათლების მიმართულებით მკაფიოდ განსაზღვრულ, შედეგზე ორიენტირებულ მიზანს. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ **2030 წლისთვის** სკოლის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა **არანაკლებ 60% დასაქმებული ან თვითდასაქმებული იქნება პროფილურ ან მომიჯნავე სფეროში**. აღნიშნული მიზანი ორიენტირებულია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების რეალურ შედეგებზე, ასახავს სკოლის მისწრაფებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და ქმნის საფუძველს აღნიშნული შედეგის სისტემური მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

სკოლის ღირებულებები ლოგიკურად ავითარებს როგორც მისიაში, ისე ხედვაში დეკლარირებულ პრინციპებს. თანამშრომლობა, გუნდურობა, ღიაობა, დემოკრატიული მართვა, სამართლიანობა და თვითგანვითარება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ ფასეულობებს, რომლებზეც სკოლა აფუძნებს საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე საქმიანობას. აღნიშნული ღირებულებები ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემაზე, თანასწორობასა და აქტიურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების განვითარებისთვის.

ინდიკატორის 1.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობით. სამუშაო ჯგუფმა განიხილა და განაახლა აღნიშნული დოკუმენტები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სკოლის განვითარების თანამედროვე ხედვა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების მიმართულებით დაწესებულების მიზნებსა და პრიორიტეტებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საერთო ორგანიზაციული ხედვის ჩამოყალიბებას და სკოლის განვითარების მიმართულებების შესახებ თანამშრომელთა ერთიან გააზრებას.

ამასთან, სკოლამ უზრუნველყო მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა. აღნიშნული დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას დაწესებულების განვითარების ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით.

ინდიკატორის 1.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ - N 1კ-08, 01.06.20206;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილების თაობაზე N 2-68 , 02.06.2026;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1, 03.06.2026;
- პედაგოგიური აბჭოს ოქმი N1 11.09.2023
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N.11 09.06.2026;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N2, 10.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული მიმართულებით სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-70 11.06.2026;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის ვებ გვერდი skolebi.emis.ge;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული სტუდენტისა და დაწესებულების ურთიერთუფლებებსა და ვალდებულებებს და ქმნის სამართლებრივ საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის გამჭვირვალედ და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვისთვის.

დებულებით განსაზღვრული უფლებები და გარანტიები ასახულია პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელთან) გასაფორმებელ ხელშეკრულებაშიც, რაც უზრუნველყოფს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წინასწარ გაცნობასა და მათი დაცვის დამატებით გარანტიას.

დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულება შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებებსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის სამართლებრივ აქტებთან. დებულება არეგულირებს პროფესიული განათლების პროცესისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და პროცედურების განხორციელების წესს. აღნიშნული რეგულაციები ქმნის პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვისა და კანონით გათვალისწინებული გარანტიების რეალიზებისთვის აუცილებელ სამართლებრივ საფუძველს.

ინდიკატორის 3.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე დაგეგმილია ახლად ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება, რაც გათვალისწინებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების კოორდინატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საორიენტაციო შეხვედრების მიზანია პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობა, სკოლის პერსონალთან მათი გაცნობა, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის, შიდა რეგულაციების, სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების, შეფასების სისტემის, მხარდამჭერი სერვისებისა და დაწესებულებასთან თანამშრომლობის წესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული საინფორმაციო მექანიზმების დანერგვა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობის ზრდას და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობას სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე.

ამასთან, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა დამატებით დადასტურდება პროფესიულ სტუდენტთან (არასრულწლოვნის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელთან) გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელშიც ასახული იქნება მხარეთა უფლებები, მოვალეობები და თანამშრომლობის პირობები. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა იცოდნენ და ეფექტიანად გამოიყენონ მათთვის კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა რეგულაციებით მინიჭებული უფლებები.

ინდიკატორის 3.1.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ინფორმირების მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“**. დოკუმენტი არეგულირებს შეფასების პროცესის ძირითად პრინციპებს, შეფასების ფორმებს, განმეორებითი შეფასების პირობებს, შეფასების შედეგების დაფიქსირების წესსა და პროფესიული სტუდენტის უფლებებს შეფასების პროცესში.

აღნიშნული დებულებით გათვალისწინებულია, რომ პროფესიული სტუდენტები სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე გაეცნობიან პროგრამის სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, შეფასების პერიოდულობას, შეფასების კრიტერიუმებსა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებს. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრების, სასწავლო პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებებისა და შესაბამისი სასწავლო დოკუმენტაციის მეშვეობით.

ამავე დებულებით განსაზღვრულია შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმიც. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, შეფასების შედეგის მიმართ არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს დადგენილი გასაჩივრების პროცედურა, რის საფუძველზეც შეფასების შედეგი განიხილება სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესით, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრულყოფილ ინფორმირებას შეფასების სისტემის, შეფასების კრიტერიუმების, განმეორებითი შეფასებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ასევე აისახება პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებასა და საორიენტაციო შეხვედრების მასალებში.

ინდიკატორის 3.1.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

სკოლაში პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“**. დებულება ადგენს, რომ პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის ურთიერთობა რეგულირდება წერილობითი ხელშეკრულებით, რომელშიც ასახულია მხარეთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტის კანონით გარანტირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის უფლება მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, ინფორმაცია სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, სტატუსთან დაკავშირებული საკითხების, მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების შესახებ. ასევე განსაზღვრულია სტუდენტის უფლებები უსაფრთხო და თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს, პირადი მონაცემების დაცვისა და საჩივრის წარდგენის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმა ითვალისწინებს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას. კერძოდ, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულება ფორმდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრულფასოვან დაცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე ყველა პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელთან, გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ამასთან, სტუდენტებს ხელშეკრულების გაფორმებამდე მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია მისი შინაარსის, უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას და ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, შექმნილია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებისთვის.

ინდიკატორის 3.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მათი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, შესაბამისი პირობების შექმნასა და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დებულების მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ეფუძნება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო ინტერესების შეფასებას. აღნიშნული პროცესი ხორციელდება პროფესიული სტუდენტის აქტიური მონაწილეობით, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობენ შესაბამისი პასუხისმგებელი პირები, მათ შორის პროფესიული განათლების კოორდინატორი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები.

დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციები ითვალისწინებს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს სწავლების, შეფასებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ინდივიდუალურ მიდგომებს, რომლებიც მორგებულია პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ამასთან, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პერიოდული გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის პროგრესის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის ადაპტირებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, პროფესიული სტუდენტების აქტიური ჩართულობითა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი შიდა რეგულაციები და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებას შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი საფუძველი. თუმცა, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების პრაქტიკაში გამოყენებისა და მათი ეფექტიანობის შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია.

ინდიკატორის 3.1.1.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69 05.06.2026;
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში;
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პერსონალის ფუნქციები, უფლებამოსილებები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში – **„სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“**. აღნიშნული დოკუმენტი ქმნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვისათვის აუცილებელ მარეგულირებელ საფუძველს და უზრუნველყოფს თითოეული პოზიციის ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას.

დოკუმენტში განსაზღვრულია პროფესიული განათლების კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. თითოეული პოზიციისთვის დეტალურადაა გაწერილი საქმიანობის სფერო, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულება, ასევე შესაბამისი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კომპეტენციების მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პროცესების ეფექტიან ადმინისტრირებას.

პროფესიული განათლების კოორდინატორის ფუნქციები მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებასა და კოორდინაციას, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, პროფესიული სტუდენტების ადმინისტრირებას, სასწავლო დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, კარიერული მომსახურების ორგანიზებასა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას. ამასთან, კოორდინატორი პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე პროცესების უწყვეტ კოორდინაციაზე და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები ორიენტირებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. მის კომპეტენციაში შედის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, თვითშეფასების პროცესის კოორდინაცია, მონიტორინგისა და ვერიფიკაციის განხორციელება, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზი, რაც ქმნის ხარისხის უწყვეტი განვითარების საფუძველს.

რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქციები დაკავშირებულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დროულ და სრულყოფილ ასახვასთან, პროფესიული სტუდენტების სტატუსის, კვალიფიკაციის, მობილობის, პარტნიორი ორგანიზაციებისა და პროგრამების ადმინისტრირებასთან, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტესა და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს განსაზღვრული აქვს პროგრამის განხორციელების პროცესის კოორდინაცია, პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი, სასწავლო გარემოს მზადყოფნის შეფასება და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის ხარისხიან და ეფექტიან განხორციელებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას, თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენებას, პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, სწავლის შედეგების შეფასებას, მტკიცებულებების შეგროვებას, პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებასა და საჭიროების შემთხვევაში შეფასების განმეორებითი პროცესების განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით თითოეული პოზიციის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მკაფიოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთშემავსებლად და საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად. აღნიშნული ხელს უწყობს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე განაწილებას, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, პროცესების კოორდინირებულ წარმართვასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიან მართვას.

ინდიკატორის 4.1.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **„სამუშაო აღწერილობები, ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“**, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართული პერსონალის – პროფესიული განათლების კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, რეესტრის წარმოების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის – ფუნქციები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი ფუნქციები გადანაწილებულია შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე. დოკუმენტებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და კოორდინაციის, პროფესიული სტუდენტების ადმინისტრირების, პროგრამის განხორციელებისა და განვითარების, შეფასების პროცესის, ხარისხის უზრუნველყოფის, მონაცემთა მართვის, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხარდაჭერის მიმართულებით პასუხისმგებლობები. აღნიშნული ფუნქციების განაწილება ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საფუძველს.

ამასთან, წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მოქმედი ორგანიზაციული მოდელი ძირითადად ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე და პროფესიული განათლების მიმართულების სპეციფიკა სრულყოფილად არ არის ინტეგრირებული სტრუქტურულ დონეზე. შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება ორგანიზაციულ სტრუქტურაში სრულად არ იკვეთება.

დაწესებულებას აღნიშნული გარემოება იდენტიფიცირებული აქვს და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული **სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით** განსაზღვრულია ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა და განვითარება, პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ასახვა, თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განახლება და მათი თანამშრომლებისთვის გაცნობა. წარმოდგენილი ინფორმაციისა და გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია თანამშრომელთა აქტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციების უფრო მკაფიო განაწილებას, კოორდინაციის გაუმჯობესებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიან მართვას.

შესაბამისობის რეკომენდაცია:

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს პროფესიული განათლების მიმართულების სრულფასოვანი ასახვა ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების განახლება ისე, რომ მკაფიოდ განისაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები და ანგარიშვალდებულება **(2026 წლის ოქტომბრამდე).**
- ასევე, უზრუნველყოს განახლებული ფუნქცია-მოვალეობების თანამშრომლებისთვის ოფიციალურად გაცნობა და შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მათთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2026 წლის ნოემბრამდე**).

ინდიკატორის 4.1.1.2. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების მიზნით დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“**, ასევე განსაზღვრულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები და უფლებამოსილებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობების ანალიზით დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა ორიენტირებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. მისი უფლებამოსილებები მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, თვითშეფასების პროცესის კოორდინაციას, შეფასების პროცესის ვერიფიკაციას, მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რეკომენდაციების შემუშავებას, მათი შესრულების მონიტორინგს, პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას, ასევე პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის ანალიზს.

დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამიჯნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უშუალო განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობისგან. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არ არის პასუხისმგებელი სასწავლო პროცესის წარმართვაზე, პროფესიული სტუდენტების შეფასებაზე ან პროგრამის ყოველდღიურ ადმინისტრირებაზე, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს აღნიშნული პროცესების მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. ფუნქციების ასეთი განაწილება ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკს და ქმნის ობიექტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების საფუძველს.

ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს შეფასების, მონიტორინგისა და ვერიფიკაციის პროცესების განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, რაც დამატებით უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაწყების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები განხორციელდება დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, ხოლო ფუნქციების განაწილებისას გათვალისწინებული იქნება ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია.

ვინაიდან სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ინტერესთა კონფლიქტის მართვის მექანიზმების პრაქტიკაში ფუნქციონირების შეფასება მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია. თუმცა, წარმოდგენილი შიდა რეგულაციები, სამუშაო აღწერილობები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ქმნის საკმარის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს იმისთვის, რომ პროგრამების განხორციელების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები განხორციელდეს დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის გარეშე.

ინდიკატორის 4.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N 2-67 01.06.2026.
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N. 2-71 12.06.2026.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;**

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პერსონალის მართვისა და განვითარების საკითხებს არეგულირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“**, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ერთიან პრინციპებს, მიდგომებსა და პროცედურებს.

აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს პერსონალის მართვის სრულ ციკლს და არეგულირებს თანამშრომელთა შერჩევის, დასაქმების, ადაპტაციის, პროფესიული განვითარების, საქმიანობის შეფასების, მოტივაციისა და წახალისების მექანიზმებს. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ვაკანტური პოზიციების შევსების პროცედურები, კანდიდატთა შერჩევის წესები, კონკურსის ჩატარების პირობები და თანამშრომლის ორგანიზაციულ გარემოში ინტეგრაციის ეტაპები. ამასთანავე, გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების პრინციპები და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რაც ქმნის ადამიანური რესურსების მართვის თანმიმდევრულ და გამჭვირვალე სისტემას.

წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კადრების მოზიდვას, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვას.

შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის შინაგანაწესი საჭიროებს დამატებით დახვეწას თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების მარეგულირებელი საკითხების უფრო მკაფიო გამიჯვნის მიმართულებით. აღნიშნული საჭიროების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას განსაზღვრულ ვადებში **(2027 წლის იანვარი).** ამავე გეგმით დაგეგმილია განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი სრული შესაბამისობა პროფესიული განათლების მიმართულებით განსაზღვრულ მართვის პროცესებთან, პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების განაწილებასთან. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, აღნიშნული ღონისძიებების დასრულების ვადად განსაზღვრულია **2027 წლის მარტი**.

აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას მიეცა - შესაბამისობის რეკომენდაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვჭალის საჯარო სკოლამ სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **(2027 წლის იანვრამდე)** უზრუნველყოს შინაგანაწესის გადამუშავება, თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული რეგულაციების მკაფიო გამიჯვნა,
- ასევე განახლებული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და კორექტირება (სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - **2027 წლის მარტამდე),** რათა დაწესებულების შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამებოდეს პროფესიული განათლების მიმართულებით მოქმედ მართვის პროცესებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას .

ინდიკატორის 4.1.2.1. მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად პრინციპებსა და პერსონალის შერჩევის პროცედურებს. დოკუმენტში დეკლარირებულია, რომ სკოლა საქმიანობას წარმართავს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით, რაც ვრცელდება თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესზეც.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ადგენს ვაკანტური პოზიციების შევსების წესს, კანდიდატთა შეფასების ძირითად კრიტერიუმებსა და შერჩევის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, კანდიდატების შეფასება ხორციელდება შესაბამისი განათლების, პროფესიული კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და პოზიციისთვის აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას ობიექტურ და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

პოლიტიკის თანახმად, ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა, საჭიროების შესაბამისად, უზრუნველყოფს როგორც არსებული ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გამოყენებას, ასევე ახალი თანამშრომლების მოზიდვას ღია და გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე. კანდიდატთა შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის, გასაუბრების ან პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა შესაბამისი შეფასების მექანიზმის გამოყენებით, ხოლო დასაქმების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტით და შრომითი ხელშეკრულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის მარეგულირებელი პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა ქმნის შესაბამის საფუძველს პროფესიული განათლების მიმართულებით კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და დასაქმებისთვის და ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორის 4.1.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულებით დასაქმებული პირების კვალიფიკაციის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო აღწერილობების, ფუნქცია-მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. თითოეული პოზიციისთვის დადგენილია შესაბამისი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კომპეტენციების კრიტერიუმები, რომლებიც შეესაბამება შესასრულებელი საქმიანობის სპეციფიკას.

აღნიშნული გარემოება დასტურდება სკოლაში დაცული თანამშრომელთა პირადი საქმეებით, სადაც წარმოდგენილია განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით ჩართულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ დაკისრებული ფუნქციების ეფექტიან და ხარისხიან შესრულებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან და შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელებისა და პროფესიული განათლების პროცესების ეფექტიანი მართვის აუცილებელ წინაპირობას.

ინდიკატორის 4.1.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის მართვის პოლიტიკა“ განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. დოკუმენტით დეკლარირებულია, რომ სკოლა პერსონალის მართვის პროცესში ხელმძღვანელობს თანამშრომლობის, მონაწილეობითი მართვის, გუნდური მუშაობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებით, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილ საქმიანობებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პერსონალის მონაწილეობითი მართვის პრინციპი ასახულია სკოლის შიდა დოკუმენტებსა და დაგეგმვის პროცესებში. პროფესიული განათლების მიმართულებით შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების მიზნობრივ გადანაწილებასა და საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას. ამასთანავე, პროფესიული განათლების მიმართულებით სხვადასხვა დოკუმენტის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა ადასტურებს, რომ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღება თანამშრომელთა ჩართულობითა და კოლეგიური მუშაობის პრინციპით ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის მართვის არსებული მოდელი ხელს უწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიანად განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის ეფექტიან გამოყენებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია პერსონალის მართვის ისეთი მარეგულირებელი გარემო, რომელიც ეფუძნება მონაწილეობითი მართვის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომელთა ეფექტიან ჩართულობას, პასუხისმგებლობების კოორდინირებულ შესრულებასა და პროფესიული განათლების მიმართულებით ორგანიზაციული პროცესების წარმატებით განხორციელებას.

ინდიკატორის 4.1.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების თაობაზე N 1კ-09 01.06.2026;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2026-2027 ს/წ სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული მიმართულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით პერსონალის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების თაობაზე N2-67 01.06.2026.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის N 2-73 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების შესახებ შეესაბამება სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლის მისიაში განხორციელებულია შესაბამისი ცვლილება, რომლითაც მკაფიოდ გამოიკვეთა პროფესიული განათლების მიმართულება. შესაბამისად, პროგრამის დანერგვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება თავსებადია სკოლის მისიასთან.

ამასთან, პროფესიული განათლების მიმართულების განვითარება ასახულია სკოლის **სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაშიც**, რომელშიც დამატებულია სტრატეგიული მიზანი - **„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება“**. აღნიშნული მიუთითებს, რომ პროფესიული პროგრამის განხორციელება წარმოადგენს სკოლის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკის ნაწილს და არ არის ერთჯერადი ან იზოლირებული გადაწყვეტილება.

პროგრამის საჭიროების დასაბუთების მიზნით სკოლამ შეისწავლა პოტენციური ბენეფიციარების ინტერესი. კერძოდ, სკოლის ადმინისტრაციამ პირდაპირი ინტერვიუირების მეთოდით გამოკითხა სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირები. ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნა გამოიკვეთა **„კომპიუტერული ქსელები და სისტემები“** მიმართულებით, რაც დამატებით ადასტურებს პროგრამის დანერგვის მიზანშეწონილობას და მის შესაბამისობას ადგილობრივი მოსახლეობის საგანმანათლებლო ინტერესებთან.

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მარეგულირებელი დოკუმენტი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, რომელიც ადგენს პროგრამების შემუშავების ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა ფუნქციებსა და შესაბამის პროცედურებს. ამასთან, პროფესიული განათლების განხორციელების მიმართულებით არსებული მცირე გამოცდილების გათვალისწინებით, კონკრეტული პროგრამის მომზადების პროცესში სრულად არ იქნა დაცული აღნიშნული დებულებით განსაზღვრული მიდგომები და პროცედურული მოთხოვნები. შესაბამისად ექსპერტთა მიერ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, შემდგომში პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესები განხორციელდეს დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.**

ინდიკატორის 2.1.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამით დადგენილი დაშვების პირობები - საბაზო განათლება, სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობებთან.

ამასთან, პროგრამაზე მიღების პროცედურები დეტალურად არის რეგულირებული სკოლის მიერ დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“**, რომლის მოთხოვნები შეესაბამება **„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დადგენილ რეგულაციებს.

შეფასების შედეგად ასევე დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე დაშვების მიზნით არ აქვს განსაზღვრული დამატებითი ან შეზღუდვის შემქმნელი სპეციფიკური მოთხოვნები, რომლებიც სცილდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების პირობები და ჩარიცხვის პროცედურები უზრუნველყოფს კანდიდატთა თანასწორ, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამის წვდომას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ინდიკატორის 2.1.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 5 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“** ადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესსა და კრიტერიუმებს.

წარმოდგენილი დასაბუთების მიხედვით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლამ შეაფასა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო გარემო, მატერიალური და ადამიანური რესურსები. ამ მიზნით გაანალიზებულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები (A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები, აგრეთვე ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის საჭირო ლაბორატორია), მათი ტევადობა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრულ მატერიალურ რესურსებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დასაბუთებით დგინდება, რომ ერთ სასწავლო ჯგუფში შესაძლებელია **16 პროფესიული სტუდენტის** მომსახურება. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ორგანიზების მოდელის შესაბამისად, სწავლების ორ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში დაწესებულება შეძლებს **ორი სასწავლო ჯგუფის** ფუნქციონირებას, რაც პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას **32 სტუდენტამდე** განსაზღვრავს.

ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად იქნება მობილიზებული **სწავლების დაწყებამდე**. შესაბამისად, ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება ეფუძნება არა მხოლოდ სასწავლო ფართის შესაძლებლობებს, არამედ პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების სრულად უზრუნველყოფის პირობასაც.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას სკოლამ გამოიყენა წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგია და გადაწყვეტილება დაასაბუთა სასწავლო სივრცეების ტევადობის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი დასაბუთება შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე განსაზღვრავს.

ინდიკატორის 2.1.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი შინაარსობრივად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრულ რეკომენდებულ მატერიალურ და სასწავლო რესურსებს.

წარმოდგენილი რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო უზრუნველყოფა ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვასა და თითოეული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობაზე. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული რესურსები ქმნის იმ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ეფექტიანად დასაუფლებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის 2.1.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

სკოლის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** არ მოიცავს არჩევით მოდულებს. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა შედგენილია მხოლოდ სავალდებულო მოდულებისგან და სრულად ეფუძნება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის 2.1.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე[1]“ ქვეპუნქტისა და სკოლის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ მე-5 მუხლის საფუძველზე, პროგრამა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის, როგორც უფლებამოსილი პირის, 2026 წლის 12 ივნისის №448 ბრძანებით.

აღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამის დამტკიცების პროცესი განხორციელებულია სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

ინდიკატორის 2.1.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** სრულ შესაბამისობაშია ამავე სახელწოდების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროგრამის სახელწოდება ასახავს მის შინაარსს, მიზანსა და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რის გამოც უზრუნველყოფს პროგრამის იდენტიფიცირებას და არ ქმნის მცდარ ან შეცდომაში შემყვან წარმოდგენას მისი შინაარსის, კომპეტენციების ან კვალიფიკაციის შესახებ. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებსა და პროგრამის შინაარსობრივ თავისებურებებს.

ინდიკატორის 2.1.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. **დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და პროფესიული განათლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**, რომლის მოთხოვნებიც პროგრამაში ასახულია სრულყოფილად.

პროგრამა მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სავალდებულო კომპონენტებს, მათ შორის პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, პროგრამის მოცულობას, ხანგრძლივობასა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა არსებით ინფორმაციას.

შეფასების შედეგად ასევე დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია **„საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები. შესაბამისად, პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოსთან და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორის 2.1.1.8. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია და ხედვა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების გაანგარიშების შედეგები;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N2-73, 12.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N2-69 05.06.2026

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეფასების პროცესში დადგენილი გარემოებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია სკოლის ბაზაზე მოწყობილ იმიტირებულ სასწავლო გარემოში.

ამასთან, შეფასების განხორციელების ეტაპზე პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსი სრულად მობილიზებული არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების სრულად უზრუნველყოფის ღონისძიებებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები მობილიზებული იქნება 2026 წლის ნოემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების საბოლოო უზრუნველყოფა დაკავშირებულია სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულებასთან, **რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია -.სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის აუცილებელი, პროგრამის დანართით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სრულად მობილიზება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის ნოემბრის ჩათვლით.**

ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება **საქართველოს შრომის კოდექსით** დადგენილ მაქსიმალურ სამუშაო დროს.

შეფასების ეტაპზე პროგრამის განხორციელებისთვის მობილიზებულია **13 განმახორციელებელი**, მათ შორის: ინტეგრირებული მოდულების - **8**, ზოგადი მოდულების - **2**, ხოლო პროფესიული მოდულების - **3** განმახორციელებელი. წარმოდგენილი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო პროცესის ორგანიზებას დაგეგმილი კონტინგენტის ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელების მდგრადობისა და ადამიანური რესურსების უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დაგეგმილია დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების მოძიება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს დამატებითი განმახორციელებლების შერჩევისა და მობილიზების ღონისძიებებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას. შესაბამისად სკოლას მიეცა **შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის ნოემბრამდე უზრუნველყოს დამატებითი პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა და ხელშეკრულებების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი, ხარისხიანი და მდგრადი განხორციელება.**

ინდიკატორის 2.2.1.2. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ 2026 წლის 1 ივნისის N 2-67 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის "სამუშაო აღწერილობები ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები" შესწავლის და პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აკმაყოფილებენ სკოლის მიერ შესაბამისი პოზიციებისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება განმახორციელებელთა პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაციით, რომელიც შეიცავს მათი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ ინფორმაციას.

ამასთან, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლამ განსაზღვრა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია განმახორციელებელთა პროფესიული განვითარებისკენ, რათა მათ სასწავლო პროცესში ეფექტიანად გამოიყენონ პროფესიული განათლებისთვის დამახასიათებელი მიდგომები, მოდულური სწავლების პრინციპები და შეფასების მექანიზმები. ამ მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის დაწყებამდე შესაბამისი პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა მიერ გაიცა - შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული პროფესიული განვითარების ღონისძიებების სრულად განხორციელება დადგენილ ვადაში - 2026 წლის ნოემბრამდე**. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია პროგრამის განმახორციელებელთა, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება, რათა ისინი პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფლობდნენ პროფესიული განათლებისთვის აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას, თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შეფასების შესაბამის მიდგომებს.

ინდიკატორის 2.2.1.3. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. **პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხელმძღვანელად განსაზღვრულ პირს აქვს იმ პოზიციისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით, რომელიც მოიცავს მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელ მასალებს.

შეფასების ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს პირი, რომელიც ამავდროულად ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, როგორც პროფესიული მოდულის განმახორციელებელი, და სკოლასთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობას მიიღებს პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილ პროფესიული განვითარების აქტივობებში ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად. აღნიშნული ღონისძიებები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით** და მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ორგანიზებისა და პროგრამის მართვისთვის საჭირო ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაძლიერებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას **(იხ, ინდიკატორი N 2.2.1.3.).**

ინდიკატორის 2.2.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გადამოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც შინაარსობრივად შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულებით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროფესიული მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით და მასზე წვდომა აქვთ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ისე პროფესიულ სტუდენტებს.

ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტში ინდიკატორი **2.2.1.5** დაწესებულების მიერ შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით. თვითშეფასების შედეგების მიხედვით, არსებული სასწავლო რესურსები ამ ეტაპზე სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში საჭირო ყველა სასწავლო მასალის თანაბარ ხელმისაწვდომობას, ხოლო საბიბლიოთეკო ფონდი საჭიროებს განახლებასა და შინაარსობრივ გამრავალფეროვნებას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სასწავლო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის სასწავლო რესურსების განახლებული კატალოგის შემუშავებას, ელექტრონული და მატერიალური საბიბლიოთეკო ფონდის გაფართოებასა და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად დამატებითი სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას. გეგმაში ასევე განსაზღვრულია განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და საჭირო რესურსები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი შინაარსისა და შესრულების ვადების გათვალისწინებით, რეალისტურია და უზრუნველყოფს გამოვლენილი გარემოების აღმოფხვრას.

შესაბამისობის რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო რესურსების პროგრამისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით შევსება და განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის ნოემბრამდე), რათა პროგრამის განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ყველა აუცილებელი სასწავლო რესურსის სრულყოფილი ხელმისაწვდომობა.

ინდიკატორის 2.2.1.5. მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში შექმნილია ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები, რომლებიც ვრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც.

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“** განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავების წესსა და პროცედურებს. დებულებით გათვალისწინებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების საფუძველზე.
ამასთან, დადგენილია, რომ პროგრამის განმახორციელებლები, საჭიროების შესაბამისად და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მონაწილეობით, უზრუნველყოფენ სასწავლო რესურსების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების მიდგომების კონკრეტული პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ადაპტირებას. აღნიშნული ქმნის წინაპირობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობისთვის.

ინდიკატორის 2.2.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მომზადებულია როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.
წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების დეტალურ კალკულაციას, რაც იძლევა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისა და ეკონომიკური მდგრადობის შეფასების შესაძლებლობას. ფინანსური გათვლების მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია **5 პროფესიული სტუდენტით**, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული კონტინგენტის არსებობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელებას აქვს ფინანსური საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ფინანსური მოდელი ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური დაგეგმვის მექანიზმი, ხოლო შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზი ქმნის პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საფუძველს.

ინდიკატორის 2.2.1.7. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზეN2-69, 05.06.2026;
- დირექტორის ბრძანება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების თაობაზე N 2-71 12.06.2026;
- განმახორციელებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების **PDCA (Plan–Do–Check–Act)** ციკლს, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და მიღებული შედეგების საფუძველზე მათ გაუმჯობესებას.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **„პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“**, რომელიც არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების, განვითარების და საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში გაუქმების პროცესებს. დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის განვითარებისა და განახლების პროცესში სკოლა გეგმავს დაეყრდნოს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების უკუკავშირს. აღნიშნული ინფორმაციის სისტემური შეგროვებისა და ანალიზის მიზნით დაწესებულება გეგმავს პროგრამის შეფასებისთვის სპეციალური კითხვარებისა და სხვა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის უწყვეტ განვითარებასა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოყენებას.

ვინაიდან შეფასების ეტაპზე პროგრამის შეფასებისთვის განკუთვნილი კითხვარები და მათი გამოყენების პროცედურები ჯერ მხოლოდ დაგეგმილია და პრაქტიკაში დანერგილი არ არის, სკოლას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში დამსაქმებლები) განკუთვნილი შეფასების ინსტრუმენტები, განსაზღვროს მათი ადმინისტრირების პერიოდულობა, შედეგების ანალიზისა და პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უკუკავშირზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის 2.3.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

სკოლის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილების საფუძველზე განხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებლების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრები. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავს პროგრამის განხორციელების პრაქტიკის განხილვას, გამოვლენილი გამოწვევებისა და ძლიერი მხარეების ანალიზს, ასევე პროგრამის შემდგომი განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ჩატარებას, აღნიშნული მექანიზმი დაკავშირებულია პროგრამის განხორციელების შედეგად გამოცდილების დაგროვებასთან, თუმცა დოკუმენტში არ არის განსაზღვრული შეხვედრების ჩატარების სიხშირე, ფორმატი, შედეგების დოკუმენტირების წესი და მიღებული გადაწყვეტილებების პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმი. აღნიშნული საკითხების წინასწარ რეგლამენტირება უზრუნველყოფს უკუკავშირის სისტემურ შეგროვებას, მისი შედეგების ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტიანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. არნიშნულის გათვალისწინებით სკილას მიეცა **განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, სკოლამ წინასწარ განსაზღვროს პროგრამის განმახორციელებელთა სამუშაო შეხვედრების პერიოდულობა, ფორმატი, შედეგების დოკუმენტირების წესი და მიღებული გადაწყვეტილებების პროგრამის გაუმჯობესების პროცესში გამოყენების მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას.**

ინდიკატორის 2.3.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე N2-72, 12.06.2026;
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69, 05.06.2026;
- პროგრამის განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ფარგლებში შემუშავებულია სასწავლო გეგმები როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სწავლების ფორმებისთვის. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლების ორგანიზების შესაძლებლობა. სასწავლო გეგმები აგებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით და ასახავს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სპეციფიკას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმის ორი ვარიანტი, რომლებიც მორგებულია პროგრამის განხორციელების შესაძლო პირობებზე. პირველი სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული მოდულების განხორციელება იწყება პროგრამის დაწყებისთანავე, ხოლო მეორე ვარიანტი განსაზღვრულია იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამის დაწყების ეტაპზე ვერ იქნება სრულად უზრუნველყოფილი პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაში, პროგრამის საწყის ეტაპზე დაგეგმილია მხოლოდ ზოგადი განათლების ინტეგრირებული კომპონენტების განხორციელება, ხოლო პროფესიული მოდულების სწავლება დაიწყება მე-11 კვირიდან.

პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ორ სასწავლო წელზე. წარმოდგენილი სასწავლო გეგმებით დაცულია პროფესიული სტუდენტების დასაშვები კვირეული სასწავლო დატვირთვა, რომელიც არ აღემატება 40 საათს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში ზოგადი მოდულების კვირეული დატვირთვა განაწილებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული მოდულების ეფექტიანი სწავლებისთვის საჭირო დროითი ბალანსი.

ინდიკატორის 2.4.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს პროფესიული სასწავლო პროცესის ორგანიზების მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტებით რეგულირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სასწავლო გრაფიკის ფორმირების, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინების პროცედურები.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები შედგენილია პროფესიული სტუდენტების დასაშვები სასწავლო დატვირთვის, მოდულების ლოგიკური თანამიმდევრობისა და სწავლების ორგანიზების პრინციპების დაცვით. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული სწავლების ფორმები, ასევე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებაზე მორგებულ სასწავლო პროცესს.

ამასთან, სკოლის შიდა რეგულაციები ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – სასწავლო რესურსებისა და სწავლების პროცესის ადაპტირებას შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით. აღნიშნული მექანიზმები ქმნის პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მოქნილი რეაგირების წინაპირობას.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა დოკუმენტებით გათვალისწინებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, არ არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და პროგრამის განვითარებაში გამოყენების პრაქტიკული მექანიზმები. აღნიშნულის დანერგვა ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, პროფესიული სტუდენტების საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებასა და სასწავლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ამის საფუძველზე ექსპერტთა მიერ გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** სასურველია, პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე სკოლამ დანერგოს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირის სისტემური შეგროვების, ანალიზისა და შედეგების პროგრამის განვითარებაში გამოყენების მექანიზმი, რათა სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნებოდეს პროფესიული სტუდენტების გამოცდილებასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას.

ინდიკატორის 2.4.1.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც განსაზღვრულია პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სწავლების მეთოდოლოგიით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გააჩნია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, შესაბამის საინფორმაციო რესურსებზე წვდომისა და პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარები და ასევე როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილია მათი შემდგომი გადამზადების ღონისძიებები.

ინდიკატორის 2.4.1.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობისკენ.

კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმას. დოკუმენტში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებისა და კონსულტაციების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებლის კონსულტაციით იმ პერიოდულობით, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად.

ასევე, დებულება ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებს. განსაზღვრულია, რომ აღნიშნული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების მიერ შეთავაზებული ყველა სახის სერვისი და საჭიროების შესაბამისად უნდა განხორციელდეს შესაბამისი საგანმანათლებლო მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებას იმ შემთხვევებში, როდესაც პროფესიული სტუდენტის საჭიროებები მოითხოვს სასწავლო პროცესის განსხვავებული ფორმით დაგეგმვას. დებულების მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრული მოდულების დროში განაწილების დოკუმენტს, რომელიც პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

გარდა ამისა, პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სწავლების საკითხები - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე შესაძლებელია მოდულების, სწავლების მიდგომების, რესურსებისა და შეფასების ინსტრუმენტების ადაპტირება სტუდენტთა საჭიროებების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის გაზრდას.

დოკუმენტით დადგენილი რეგულაციები ქმნის საფუძველს, რომ პროფესიული სტუდენტების განსხვავებული საჭიროებები იდენტიფიცირდეს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები. დაწესებულებას გააჩნია მექანიზმები ინდივიდუალური კონსულტაციების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

განმავითარებელი რეკომენდაცია (საჭიროების შემთხვევაში): სასურველია, პრაქტიკაში განხორციელების ეტაპზე დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის, განხორციელებული მხარდაჭერის ღონისძიებებისა და მათი ეფექტიანობის დოკუმენტირება (მაგალითად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კონსულტაციების ჩანაწერები, სტუდენტის პროგრესის მონიტორინგის შედეგები), რაც დამატებით დაადასტურებს აღნიშნული მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ინდიკატორის 2.4.1.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელები და სისტემები“ სკოლის მიერ განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში სკოლა სრულად საკუთარი რესურსით წარმართავს სასწავლო პროცესს.

ინდიკატორის 2.4.1.5. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელები და სისტემები “ თეორიული მეცადინეობები ჩატარდება A და B სასწავლო გარემოში, რაც არ საჭიროებს რაიმე სპეციფიურ უსაფრთხოების ღონისძიებებს, რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, რამდენადაც აღნიშნული სამუშაო უკავშირდება სტანდარტულ საოფისე პირობებს, ამ შემთხვევაშიც უსაფრთხოების წესის შემუშავების საჭიროება არ დგას.

ინდიკატორის 2.4.1.6. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების დამტკიცების თაობაზე N 2-69 05.06.2026
- დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე N 2-73 12.06.2026;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების შეფასების მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყების შემთხვევაში განსაზღვრავს შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებსა და მათი უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ამასთან, დებულებაში ასახულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“ და განსაზღვრულია მისი გამოყენების პირობები. ასევე რეგულირდება ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომლის მოთხოვნების დაცვითაც უნდა განხორციელდეს შეფასების პროცესი.

ამავე დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების ხუთ ფუნდამენტურ პრინციპს - **ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას**, ამასთან, თითოეული პრინციპის შინაარსი დეტალურად არის განმარტებული.

კერძოდ, დებულების მიხედვით, შეფასების **ვალიდურობა** უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სწავლის შედეგის რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო **სანდოობა** - შეფასების შედეგების სათანადო მტკიცებულებებით გამყარებისა და მათი დოკუმენტირების გზით.

დებულება ასევე განსაზღვრავს **სამართლიანობის**, **გამჭვირვალობისა** და **ობიექტურობის** უზრუნველყოფის მექანიზმებს. კერძოდ, შეფასების პროცესი დაგეგმილია ისე, რომ პროფესიულ სტუდენტებს თანაბარ პირობებში მიეცეთ სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობა, ხოლო შეფასების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების ინსტრუმენტების, პირობებისა და პროცესის შესწავლის შესაძლებლობით. ამავდროულად, დებულებით განსაზღვრულია, რომ ერთნაირი შესრულების შემთხვევაში ყველა პროფესიული სტუდენტი ერთნაირად უნდა შეფასდეს.

დებულებით ასევე რეგულირდება შეფასების ადმინისტრირების პროცედურები, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება, დამატებითი შეფასების ჩატარების პირობები, შეფასების მტკიცებულებების წარმოების, რეგისტრაციისა და შენახვის წესი, რაც ქმნის შეფასების პროცესის მიკვლევადობისა და ვერიფიცირებადობის ნორმატიულ საფუძველს.

წარმოდგენილი დებულებით შეფასების სისტემა კონცეპტუალურად და პროცედურულად შეესაბამება პროფესიული განათლების სფეროში დადგენილ მოთხოვნებს. შეფასების თითოეული ფუნდამენტური პრინციპი ასახულია შესაბამის რეგულაციებში და განსაზღვრულია მათი უზრუნველყოფის პროცედურული მექანიზმები, რაც ქმნის პროგრამის განხორციელების ეტაპზე ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების სისტემის ფუნქციონირების საფუძველს. წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის სამართლებრივ და პროცედურულ საფუძველს, რათა პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ერთიანი, სამართლიანი, ობიექტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით.

ინდიკატორის 2.4.2.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას შეფასების სისტემის ფარგლებში გათვალისწინებული აქვს შეფასების შედეგების ვერიფიკაციის მარეგულირებელი მექანიზმი, რომელიც მიმართულია შეფასების პროცესის ხარისხის, სანდოობისა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისკენ.

დებულებით განსაზღვრულია შეფასების ვერიფიკაციის მიზანი, პროცედურები, ვერიფიკაციის განხორციელების წესი და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებები. ამასთან, რეგულაციები ითვალისწინებს შეფასების მტკიცებულებების შესწავლას, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მიღებული შედეგების შესაბამისობის დადგენას პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და შეფასების კრიტერიუმებთან. აღნიშნული ქმნის შეფასების შედეგების გადამოწმებისა და ხარისხის კონტროლის ნორმატიულ საფუძველს.

დებულებით ასევე რეგულირდება შეფასების მტკიცებულებების წარმოების, რეგისტრაციისა და შენახვის წესი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიკვლევადობას და ქმნის ვერიფიკაციის ეფექტიანად განხორციელების აუცილებელ წინაპირობას.

წარმოდგენილი დებულებით განსაზღვრულია შეფასების შედეგების ვერიფიკაციის სამართლებრივი და პროცედურული საფუძვლები. რეგულაციები უზრუნველყოფს შეფასების მტკიცებულებების გადამოწმების, დოკუმენტირებისა და შეფასების პროცესის შესაბამისობის დადგენის მექანიზმების არსებობას, რაც პროფესიული პროგრამების განხორციელების ეტაპზე ქმნის შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

დაწესებულების რეგულაციები ქმნის საფუძველს, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე შეფასების სისტემა დაექვემდებაროს სისტემურ ვერიფიკაციას, რაც ხელს შეუწყობს შეფასების სანდოობის, ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის 2.4.2.2. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც პროფესიული პროგრამების განხორციელების ეტაპზე უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიკვლევადობასა და ანგარიშვალდებულებას.

დებულებით განსაზღვრულია შეფასების შედეგების დოკუმენტირების წესი, შეფასების უწყისების გაფორმების პროცედურები, ასევე შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის ვალდებულება. ამასთან, რეგულაციები ადგენს, რომ შეფასების უწყისები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია ინახება **შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით**, რაც შეესაბამება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული რეგულაციები ქმნის საფუძველს შეფასების პროცესის მიკვლევადობის, საჭიროების შემთხვევაში შეფასების შედეგების გადამოწმებისა და შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცედურები, მათ შორის მათი შენახვის ვადა. აღნიშნული რეგულაციები ქმნის შეფასების პროცესის დოკუმენტირების, მიკვლევადობისა და შემდგომი ვერიფიკაციის განხორციელების სამართლებრივ და პროცედურულ საფუძველს. წარმოდგენილი რეგულაციები უზრუნველყოფს, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა განხორციელდეს დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად.

ინდიკატორის 2.4.2.3. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც პროფესიული პროგრამების განხორციელების ეტაპზე მიმართული იქნება სტუდენტთა შემდგომი განვითარების, სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მხარდაჭერის დაგეგმვისკენ.

დებულებით განსაზღვრულია განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრინციპები, დამატებითი შეფასების შესაძლებლობა, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტაციების ორგანიზების მექანიზმები, რაც ქმნის საფუძველს, რომ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს სტუდენტის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისთვის.

ამასთან, დებულებით გათვალისწინებული შეფასების მტკიცებულებების დოკუმენტირება და მათი მიკვლევადობა ქმნის შესაძლებლობას, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყების შემდეგ შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნეს როგორც სტუდენტის ინდივიდუალური განვითარების, ისე სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი რეგულაციები ქმნის საფუძველს, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების დაწყებისთანავე შეფასების შედეგები სისტემურად იქნეს გამოყენებული პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარების მხარდასაჭერად.

ინდიკატორის 2.4.2.4. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელების დებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.08. 2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: